თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2557416

ნომერი: AR1396639

თარიღი : 14.04.2016

გაცემის თარიღი : 21.04.2016

გაცნობის თარიღი : 03.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ; ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ მჭედლიშვილი პ/ნ 01008012186
- მოსეშვილის 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1396639 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.14.11.002.035 და #01.14.11.002.036 საკადასტრო ერთეულებზე მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 13 აპრილის #2540850 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზ.#64-ში / ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #66-ის მიმდებარედ (ნაკვ. #2/14)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/18)/ ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/19)/ ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/24)/ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #66 -ში (ნაკვ. #2/25), შპს ,,ჭავჭავაძის 64ა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი #01.14.11.002.035) შეთანხმდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის – სასტუმრო (,,ა" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებობის ნებართვა.

რაც შეეხება #01.14.11.002.036 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს გაცნობებთ, რომ 2016 წლის 13 აპრილის #2540851 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ი. სექტორი ვაკე, ი. ჭავჭავაძის გამზირი, #64/ი. ჭავჭავაძის გამზირი #66–ს მიმდებარედ, (ნაკვ#2/14)/ი. ჭავჭავაძის გამზირი, #66–ს მიმდებარედ (ნაკვ#2/18)/ი. ჭაჭავაძის გამზირი #66–ს მიმდებარედ (ნაკვ#2/19)/ ჭავჭავაძის გამზირი, #66, (ნაკვ#2/24)/ ჭავჭავაძის გამზირი, #66 (ნაკვ#2/25), შპს ,,ჭავჭავაძის 64ბ"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი#01.14.11.002.036) და ილო მოსაშვილის ქუჩა #3ა–ში მდებარე სს ,,თელასი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი N 01.14.11.002.013) შეთანხმდა მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის (,,ბ" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის მიერ #2540850 და #2540851 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, #01.14.11.002.035 და #01.14.11.002.036 საკადასტრო ერთეულებზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

გიგზავნით ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ჩატარებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომის #ო-168. 13.04.2016წ. ოქმის ასლს, შესაბამისი წესით დამოწმებულს.

ამასთან გაცნობებთ, რომ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე უნდა შეიტანოთ ასლის გადაღების მოსაკრებელი - 0 ლარის და 40 თეთრის ოდენობით. აღნიშნული დოკუმენტაცია შეგიძლიათ გაიტანოთ ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულიდან, შეტყობინების მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს, გატანის დროს საჭიროა წარმოადგინოთ აღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი

დანართი: 8 ფურცელი.

გადასახდელი თანხის რეკვიზიტებია:

1. მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
2. მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
3. ბანკის კოდი: TRESGE22
4.ანგარიშის ნომერი: 200122900
5.სახაზინო კოდი: 300773173
6. გადახდის დანიშნულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი. (#AR1396639 14.04.2016წ.)